21/05/2026

MES 0 26 0000600173

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 21.05.2026
სხდომის დაწყების დრო: 11:08
სხდომის დამთავრების დრო: 13:15
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

2. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
3. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
4. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
5. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
7. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
8. **მაქსიმ იავიჩი –** შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
9. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
10. **ქრისტინე ახალაძე –** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
11. **ბონდო გასვიანი** - შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
12. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
13. **ნათია იორდანაშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;
14. **თამარ ზარანდია –** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
15. **ელიზბარ ელიზბარაშვილი –** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენელი:

1. **ლია ხარებავა –** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
2. **გვანცა ძიძიგური–** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

1. **ლარისა ავეტისიანი** -პრორექტორი სასწავლო დარგში;
2. **ხაჩატურ მარგარიანი –** პრორექტორი განვითარების დარგში;

3. **კარინე ბაროიანი**- დეკანი;
4. **კონსტანტინე ენკოიანი**- პროგრამის დირექტორი;
5. **არამ ჰაირაპეტიანი** - განათლების ხარისხის შეფასებისა და უზრუნველყოფის ცენტრის ხელმძღვანელი;
6. **კონსტანტინე ჩოკორაია** - უნივერსიტეტის წარმომადგენელი საქართველოში.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

1. **მიხეილ რუხაია** - "კომპიუტერულიმეცნიერება დახელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი საბაკალავროპროგრამის ხელმძღვანელი;
2. **ელენე მამუკელაშვილი** - ფაკულტეტის დეკანი;
3. **თამარ ტუფინაშვილი** - აკადემიური განვითარების ხელმძღვანელი;
4. **თამარ გვიანიშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

1. **ივანე ჯაგოდნიშვილი -** სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. **რუსუდან ქუთათელაძე -** სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
3. **ნინო ჩიკვილაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
4. **რატი ბურდიაშვილი -** „საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

1. **ნონა ზუმბაძე** - ხარისხის აუდიტი;
2. **ანა გვრიტიშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
3. **ნინო ჯოჯუა** - რექტორის მრჩეველი ხარისხის მიმართულებით;
4. **იოსებ ვარძელაშვილი** - სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი;
5. **ნიკოლოზ აბზიანიძე -** კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საკალავარო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი.

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

1. **ქეთევან ჯინჭარაძე** - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
2. **ანასტასია ბაჯიაშვილი -** ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის დეკანი;
3. **ნინო ლოლაშვილი -** ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის ვიცე-დეკანი;
4. **მალხაზ ნიკოლაშვილი -** „ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

1. ირინე ფხაკაძე (I, II, III საკითხები);
2. თამარ გოდერიძე (I, II, III საკითხები);
3. ხათუნა საგანელიძე (I, II, III საკითხები);
4. ვლადიმერ ვოსკანიანი (I, II, III საკითხები);

5. სეიფედინ კადრი (IV საკითხი);
6. ნანი არაბული (IV საკითხი);
7. გიორგი მხეიძე (IV საკითხი);
8. ეკა ლეკაშვილი (V საკითხი);

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ **ლევან შავაძემ.**

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, მდივნის ფუნქციები შეასრულა საბჭოს წევრმა, **ვაჟა კელიხაშვილმა.**

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 11:08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ზოგადი მედიცინის" სომხურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ზოგადი მედიცინის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ზოგადი მედიცინის" რუსულენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "PR (პიარი) და კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით).

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **კი**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

შპს კავკასიის უნივერსიტეტის "PR (პიარი) და კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვის შემდეგი აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გადადებასთან დაკავშირებით;
ცენტრის თანამშრომელმა, ასევე, დააყენა შუამდგომლობა საბჭოს დამატებით განეხილა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის შუამდგომლობები:

- „შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "სამართალმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 27 სექტემბრის N1172271 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
- „შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 2 აპრილის N318909 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
- „შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 იანვრის N50931 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
- „შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 9 დეკემბრის N1755828 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 მაისის N604284 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა აღნიშნული შუამდგომლობები დააკმაყოფილეს.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ზოგადი მედიცინის" სომხურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ზოგადი მედიცინის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ზოგადი მედიცინის" რუსულენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის “კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სახკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. „შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "სამართალმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 27 სექტემბრის N1172271 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

7. „შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 2 აპრილის N318909 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
8. „შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 იანვრის N50931 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
9. „შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 9 დეკემბრის N1755828 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.
10. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 მაისის N604284 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ზოგადი მედიცინის" სომხურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ზოგადი მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
საფეხური: ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი ექიმი, სომხეთის რესპუბლიკა; დიპლომირებული მედიკოსი, საქართველო
დეტალური სფეროს კოდი: 0912 მედიცინა
სწავლების ენა: სომხური
კრედიტების რაოდენობა: 360
სტატუსი: აკრედიტებული

მეორე საკითხი: მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ზოგადი მედიცინის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ზოგადი მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
საფეხური: ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი ექიმი, სომხეთის რესპუბლიკა; დიპლომირებული მედიკოსი, საქართველო
დეტალური სფეროს კოდი: 0912 მედიცინა
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 360
სტატუსი: აკრედიტებული

მესამე საკითხი: მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ზოგადი მედიცინის" რუსულენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ზოგადი მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

საფეხური: ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი ექიმი, სომხეთის რესპუბლიკა; დიპლომირებული მედიკოსი, საქართველო
დეტალური სფეროს კოდი: 0912 მედიცინა
სწავლების ენა: რუსული
კრედიტების რაოდენობა: 360
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

იმის გათვალისწინებით რომ მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ზოგადი მედიცინის" სომხურენოვანი, ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები შეფასდა ერთი ექსპერტთა ჯგუფის მიერ, საბჭომ გადაწყვიტა, რომ სამივე საკითხი განეხილათ ერთი მოსმენის ფარგლებში.

პირველი, მეორე და მესამე საკითხების ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტმა ირინე ფხაკაძემ შემუშავებული დასკვნის საფუძველზე წარმოადგინა ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებ ები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, კონსტანტინე ენკოიანმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს თანამშრომლობისა და პროგრამების შეფასების პროცესში გაწეული სამუშაოსთვის. მან აღნიშნა, რომ 2024 წლის აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების დაახლოებით 90% უნივერსიტეტმა უკვე გაითვალისწინა და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს აღნიშნული პროგრესის სათანადოდ შეფასებისა და ასახვისთვის.
წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამას დაემატა სომხური ენის საათები, ხოლო დამატებით უნივერსიტეტი გეგმავს აღნიშნული მიმართულებით არჩევითი სასწავლო კურსების დანერგვასაც. მისივე განცხადებით, დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება პროგრამაში კლინიკური მოდულების დამატების

შესახებ, მათ შორის - შინაგანი მედიცინის მოდულის, რომლის სწავლება განხორციელდება სომხურ ენაზეც.
დასასრულს, წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ექსპერტთა ჯგუფს როგორც გაწეული სამუშაოსთვის, ისე მონიტორინგის პროცესში შემუშავებული ზოგადი რეკომენდაციებისთვის, რომლებიც პროგრამაში ხარისხის კულტურის, სწავლებისა და კვლევითი გარემოს გაუმჯობესებას ემსახურება. მისივე განცხადებით, უნივერსიტეტი 7 - წლიანი აკრედიტაციის პერიოდში უწყვეტად განაგრძობს რეკომენდაციების შესრულებასა და პროგრამის განვითარებას, ვინაიდან აღნიშნული პროგრამა უნივერსიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტსა და განსაკუთრებულ სიამაყეს წარმოადგენს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტს, ირინე ფხაკაძეს, რომელიც მონაწილეობდა როგორც პროგრამების პირველადი აკრედიტაციის შეფასების, ისე მიმდინარე მონიტორინგის პროცესში. თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად თვალსაჩინო იყო ექსპერტისთვის დაწესებულების პროგრესი.
ირინე ფხაკაძემ განმარტა, რომ დეტალურად იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში, რომელშიც ასახულია ბოლო ორი წლის განმავლობაში რეკომენდაციების შესრულების მიზნით შემუშავებული გეგმა და მის შესაბამისად განხორციელებული აქტივობები. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების პროგრესი ნათლად იკვეთება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და შესრულებული სამუშაოების მოცულობის, ისე ჩატარებული ინტერვიუების შედეგებით. ექსპერტის განმარტებით, რეკომენდაციები მიმართულია პროცესების სტანდარტიზაციის, დანერგილი სიახლეების ეფექტიანი იმპლემენტაციისა და სტუდენტებისა და ექიმ-მასწავლებლების ჩართულობის გაძლიერებისკენ. მისივე თქმით, რეკომენდაციები მიზნად ისახავს აღნიშნული მიმართულებებით ხანგრძლივი და უწყვეტი მუშაობის უზრუნველყოფას, განსაკუთრებით ფაკულტეტის განვითარების კუთხით, მიღწეული შედეგების შენარჩუნებასა და გაძლიერებას. ექსპერტის განცხადებით, თითოეული რეკომენდაცია წარმოადგენს ექსპერტთა ჯგუფის შეთანხმებული მუშაობისა და ერთობლივი შეფასების შედეგს და არ ეფუძნება ინდივიდუალურ მიდგომებს. მისივე განმარტებით, რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების უფრო სანდოდ მიღწევას და უზრუნველყოფს როგორც ინგლისურენოვანი, ისე სომხურენოვანი და რუსულენოვანი პროგრამების სტუდენტებისთვის განათლების თანაბარ პირობებსა და რელევანტური სწავლის შედეგების მიღწევას. მან ასევე აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ფოკუსირებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაძლიერებაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს დანერგილი პრაქტიკებისა და მეთოდების მუდმივი მონიტორინგი, შედეგების შეფასება, ანალიზი და მიღებულ შედეგებზე შესაბამისი რეაგირება გაუმჯობესების მიზნით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 11:43
დასრულების დრო: 11:48

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ზოგადი მედიცინის" სომხურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგად დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად 1 წლის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის 24-ე პუნქტის შესაბამისად, მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს "ზოგადი მედიცინის" სომხურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვრა 1 წელი.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ზოგადი მედიცინის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგად დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად 1 წლის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის 24-ე პუნქტის შესაბამისად, მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს "ზოგადი მედიცინის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვრა 1 წელი.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ზოგადი მედიცინის" რუსულენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგად დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად 1 წლის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის 24-ე პუნქტის შესაბამისად, მხითარ ჰერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს "ზოგადი მედიცინის" რუსულენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვრა 1 წელი.

მეოთხე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი

დეტალური სფეროს კოდი: 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტი: 180
სტატუსი: არააკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ბონდო გასვიანმა.
საბჭოს სხდომას შემოუერთდნენ საბჭოს წევრები თამარ ზარანდია და მზია წიკლაური.

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა სეიფედინ კადრიმ (Seifedine Kadry) შემუშავებული დასკვნის საფუძველზე წარმოადგინა ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.

დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაზე თავისი საბოლოო პოზიცია, რომელიც თან ერთვის უცვლელად.
"ბტუ გაეცნო ცენტრიდან მიღებულ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას „კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომლის თანახმად 1.5-ში პირველი ორი რეკომენდაციის გარდა, სხვა რეკომენდაციები დარჩა უცვლელად (იხ. დასკვნა, გვ. 6).
ექსპერტთა ჯგუფმა არ დაასაბუთა რატომ არ გაითვალისწინა ბტუ-ს არგუმენტირებული პოზიცია და რა გახდა ამ რეკომენდაციების დატოვების საფუძველი - აკრედიტაციის დებულების თანახმად:„აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული დასკვნა მოიცავს ინფორმაციას ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე“. შესაბამისად, ბტუ მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ექსპერტთა არგუმენტებზე.
აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამა არის იმავე დასახელების, მიზნების, სწავლის შედეგების, შინაარსის და ა.შ. ქართულენოვანი პროგრამის ანალოგი, რომელსაც პირველი აკრედიტაცია მიენიჭა 2024 წელს, ხოლო მეორე - 2026 წელს, ექსპერტთა დასკვნის პროექტის შედგენამდე 3 თვით ადრე (13.01.2026), რაც იყო მითითებული აკრედიტაციაზე წარმოდგენილი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში. ორივე შემთხვევაში მსგავსი რეკომენდაციები არ იყო გაცემული.

ბტუ-მ გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაცია: ქვესტანდარტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - „რეკომენდებულია, მოთხოვნის შესაბამისად, სასწავლო გეგმას დაემატოს უსაფრთხოების კურსი ან შესაბამისი თემები“, რადგან ეს სასწავლო კურსი იყო გათვალისწინებული 2024 და 2026 წელს აკრედიტაბული ქართულენოვან პროგრამაში და ამ რეკომენდაციის გათვალისწინება იყო აუცილებელი პროგრამისთვის.

ბტუ არ ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციებს: ქვესტანდარტები - 1.1 პროგრამის მიზნები, 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები, ქვესტანდარტი - 1.5 სასწავლო კურსი/საგანი, 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები).

ქვემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ექსპეტთა რეკომენდაციები:

1. ეჭვქვეშ აყენებს 2024 და 2026 წელს აკრედიტებული ანალოგი ქართულენოვანი პროგრამის შეფასებებს და მიღებულ გადაწყვეტილებებს. აქვე აღსანიშნავია, რომ 2024 წელს ქართულენოვანი პროგრამის და 2026 წელს ინგლისურენოვანი პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა თავმჯდომარე იყო ბატონი სეიფედინ კადრი;
2. არ არის საკმარისად დასაბუთებული და მათი შესრულება გამოიწვევს ქართულენოვანი ანალოგ პროგამაში ცვლილებებს საჭიროებას, რადგან 2 იდენტურ - ინგლისურენოვან და უკვე აკრედიტებულ ქართულენოვან - პროგრამას ვერ ექნება განსხვავებული მიზნები, სწავლის შედეგები და პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი სავალდებულო საგნების (მათემატიკა, ფიზიკა) ნაწილში);
3. გაკვირვებას იწვევს ორი იდენტური პროგრამის განსხვავებული შეფასების ფაქტი (მაგ., „შეესაბამება მოთხოვნებს“ - 13.01.2026 და „მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს“ - 05.04.2026, მაშინ როდესაც ხდება ერთსა და იმავე აკრედიტაციის სტრანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

კერძოდ:

- **პროგრამის მიზნებთან, სწავლის შედეგებთან და პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან**

ინგლისურენოვანი პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი“	ქართულენოვანი პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი“	
1.1 პროგრამის მიზნები		
2026	**2026**	**2024**
რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, გადაიხედოს მიზანი „მონაწილოება ახალი პროდუქტების შემუშავებაში ხელოვნური ინტელექტის სფეროში" და შეიცვალოს შემდეგი ფორმულირებით: "კურსდამთავრებულები მზად იქნებიან წვლილი შეიტანონ ხელოვნური ინტელექტის ინოვაციური პროდუქტების და გადაწყვეტილებების განვითარებაში".	რეკომენდაცია: არ არის	რეკომენდაცია: არ არის

1. **1. პროგრამის სწავლის შედეგები**

2026	2026	2024
რეკომენდაციები: #1. რეკომენდებულია, პირველი სწავლის შედეგიდან ამოღებულ იქნეს „android ინტერფეისები". #2. რეკომენდებულია, გადაიხედოს მე-5 სწავლის შედეგი „აანალიზებს კლიენტის მოთხოვნებს, მოცემულ დავალებას და შეიმუშავებს გადაწყვეტის და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: "აანალიზებს კლიენტის სიმულირებულ მოთხოვნებს, მოცემულ დავალებას და შეიმუშავებს გადაწყვეტის გზებს". #3. რეკომენდებულია, დაბალი კოგნიტური სირთულის ზმნები (მაგალითად, ცოდნა და გაცნობიერება) ჩანაცვლდეს უფრო მაღალი კოგნიტური უნარების ამსახველი ზმნებით.	რეკომენდაცია: არ არის	რეკომენდაცია: არ არის

ზემოთ მითითებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ:
1. ჩანაწერი „android ინტერფეისები" წარმოადგენს თარგმნის პროცესში წარმოქმნილ ტექნიკურ უზუსტობას და არა სწავლის შედეგის შინაარსობრივ ხარვეზს. აღნიშნული გარემოება ექსპერტთა ჯგუფს ადგილზე ვიზიტის დროს დეტალურად განემარტა. აქვე აღსანიშნავია, რომ ჩანაწერი „android ინტერფეისები" არ არის მითითებული როგორც აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამის ქართულენოვანი ვერსიის პირველ სწავლის შედეგში, ასევე 2024 და 2026 წლებში აკრედიტებულ პროგრამების შედეგებში. შესაბამისად, ვინაიდან საქმე გვაქვს თარგმანის ტექნიკურ უზუსტობასთან და არა სწავლის შედეგის შინაარსობრივ ხარვეზთან, მიგვაჩნია, რომ ექსპერტთა მოსაზრება მიმართულია ტექნიკური უზუსტობის გასწორებაზე და არ წარმოადგენს წინადადებას (რეკომენდაციას), „რომელიც
უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის („პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას“)
მოთხოვნები“.აღნიშნული უზუსტობა უკვე გასწორებულია - კორექტირებული კურიკულუმი ატვირთულია ბტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე https://btu.edu.ge/en/undergraduate-programs/
2. ექსპერტების მიერ შემოთავაზებული ფორმულირება "აანალიზებს კლიენტის სიმულირებულ მოთხოვნებს“ - არ შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონეს და დარგობრივ მახასიათებელი, რომლებთან შესაბამისობაც ექსპერტთა მიერ პროგრამის ძლიერ მხარედ არის მიჩნეული, გულისხმობს რეალურ, პრაქტიკაში გამოყენებად კომპეტენციებს. „სიმულირებული მოთხოვნების" ანალიზი ვერ ჩაითვლება VI დონის კვალიფიკაციის ადეკვატურ გამოხატულებად და ფაქტობრივად ამცირებს სწავლის შედეგის სიღრმეს. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში მითითბული დარგობრივი შედეგები (მათ შორის, მე-5 შედეგი) იდენტურია 2024 და 2026 წელს აკრედიტებული ქართულენოვანი პროგრამის შედეგებისა, რომლებთანაც (შინაარსი, ფორმულირება) დაკავშირებით

არცერთი რეკომენდაცია არ იყო გაცემული. 3. ექსპერტები არ განმარტავენ რატომ არ არის გამოყენებული ზმნები რელევანტური და რომელი ზმნებით უნდა ჩანაცვლდეს. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფი 1.2 ქვესტანდარტის შეფასებისას აღნიშნავს, რომ „პროგრამა შესაბამისობაშია ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და დარგობრივ მახასიათებელთან“, „აღნიშნული წარმოადგენს ძლიერ მხარეს და შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს. გარდა ამისა, ინსტრუმენტული, ინტერპერსონალური და სისტემური კომპეტენციების გათვალისწინება ასახავს კომპეტენციებზე დაფუძნებული განათლების ყოვლისმომცველ გაგებას და შეესაბამება ევროპული უმაღლესი განათლების პრაქტიკას“.		
ქვესტანდარტი 2.1 – პროგრამაზე დაშვების წინაპირობები		
2026	**2026**	**2024**
რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს აბიტურიენტის მიერ ეროვნულ გამოცდაზე ჩასაბარებელი საგნების ჩამონათვალი.	რეკომენდაციები: არ არის	რეკომენდაციები: არ არის
ზემოთ მითითებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ: 1) ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სავალდებულო საგნების (მაგ., მათემატიკა, ფიზიკა) ჩამონათვალი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, ხოლო ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სავალდებულო საგნად ინგლისური ენის ჩაბარება განსაზღვრულია ბტუ-ს მიერ და მითითებულია პროგრამის კურიკულუმში. კანონმდებლობით, ასევე, განსაზღვრულია ინგლისური ენის ფლობის დონე, რაც ასევე მითითებულია პროგრამის კურიკულუმში; 2) ინფორმაცია ყველა სავალდებულო საგნის შესახებ მითითებულია როგორც ერთიანი ეროვნული გამოცდების ანკეტა-კითხვარში, ასევე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე განთავსებულ საინფორმაციო დოკუმენტში - "ცნობარი აბიტურიენტებისათვის" და ცნობილია ყველა აბიტურიენტისთვის; 3) ქვესტანდარტის მოთხოვნაა: „უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის“. აღნიშნული მოთხოვნა არ ადგენს კანონმდებლობით დადგენილი და ყველა აბიტურიენტისთვის ცნობილი პირობების დამატებით განმარტების და/ან დაზუსტების ვალდებულებას; 4) აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამა წარმოადგენს უკვე ორჯერ აკრედიტებული პროგრამის ანალოგს (იხ.: გადაწყვეტილებები MES 0 24 0000636130, 07/06/2024 და MES 2 26 0000018073, 13/01/2026 და სხდომის ოქმები) - პროგრამა (მათ შორის, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები) იყო შეფასებული იმავე აკრედიტაციის სტანდარტებით და პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (ქვესტანდარტი 2.1.) იყო შეფასებული როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.		

- **ქვესტანდარტთან - 1.5 სასწავლო კურსი/საგანი - დაკავშირებული რეკომენდაცია:**

„სილაბუსებში მითითებული ზოგიერთი თემა არ იძებნება სასწავლო კურსის ლიტერატურაში; მაგალითად, „ხელოვნური ინტელექტის და მანქანური სწავლების" კურსის ლიტერატურაში არ არის წარმოდგენილი ბლოკჩეინის და IOT-ის თემები. რეკომენდებულია, ლიტერატურასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გადამოწმდეს სასწავლო კურსით გათვალისწინებული თემები. რეკომენდაციაში კონკრეტულ მაგალითად დასახელებულია „ხელოვნური ინტელექტის და მანქანური სწავლების" სასწავლო კურსი და მითითებულია, რომ ლიტერატურაში არ არის წარმოდგენილი ბლოკჩეინისა და IoT-ის თემები. თუმცა, სასწავლო

კურსის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად (N 1) მითითებულ წიგნში - Denis Rothman, Artificial Intelligence By Example, Second Edition, Packt Publishing, 2020 - ორივე თემა წარმოდგენილია: ბლოკჩეინი განხილულია VII თავში, IoT კი XII. შესაბამისად, რეკომენდაციაში დასახელებული ფაქტი არაზუსტია, რაზეც მივუთითეთ არგუმენტირებულ პასუხში. გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტთა ჯგუფი სხვა მაგალითს არ ასახელებს, მიგვაჩნია, რომ რეკომენდაცია მოკლებულია სათანადო საფუძველს.
გთხოვთ განიხილოთ ბტუ-ს დასაბუთება და აღნიშნული რეკომენდაციების მიზანშეწონილობის საკითხი."

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა, ექსპერტთა ჯგუფს მიმართა კითხვით რამდენიმე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მათ შორის — 1.1 რეკომენდაციაზე, რომელიც პროგრამის მიზნებს ეხებოდა. კერძოდ, „რეკომენდებულია, გადაიხედოს მიზანი „მონაწილოება ახალი პროდუქტების შემუშავებაში ხელოვნური ინტელექტის სფეროში" და შეიცვალოს შემდეგი ფორმულირებით: "კურსდამთავრებულები მზად იქნებიან წვლილი შეიტანონ ხელოვნური ინტელექტის ინოვაციური პროდუქტების და გადაწყვეტილებების განვითარებაში". საბჭოს წევრის განმარტებით, რეკომენდაციაში არსებითად მხოლოდ მცირე ცვლილება განხორციელდა და დაემატა სიტყვა „ინოვაციური". მისი შეფასებით, ხელოვნური ინტელექტის სფერო ისედაც დაკავშირებულია ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნასთან, რის გამოც დაინტერესდა, რატომ გახდა აღნიშნული დაზუსტების დამატება საჭირო. ამასთან, საბჭოს წევრმა ყურადღება გაამახვილა პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის აკადემიურ თავისუფლებაზეც და აღნიშნა, რომ მოცემული ჩანაწერი უფრო რჩევის ხასიათს ატარებს, ვიდრე რეკომენდაციის. ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, სეიფედინ კადრიმ, განმარტა, რომ აღნიშნული ფორმულირების ცვლილება არ უკავშირდება მხოლოდ ტერმინის „ინოვაციური" დამატებას. მისი თქმით, ცვლილების არსი მდგომარეობს მიზნის შინაარსობრივ გადახედვაში. ექსპერტის განმარტებით, არსებული ფორმულირება ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ყველა სტუდენტი უშუალოდ მონაწილეობს ხელოვნური ინტელექტის სფეროში ახალი პროდუქტების შექმნის პროცესში და თავად უზრუნველყოფს ასეთი პროდუქტების შემუშავებას, რაც არ ასახავს პროგრამის რეალურ შინაარსს, რადგან სტუდენტთა ნაწილი შესაძლოა მუშაობდეს სხვა ტიპის პროგრამულ უზრუნველყოფაზე, რომელიც არ არის დაკავშირებული ხელოვნურ ინტელექტთან. მისი თქმით, რეკომენდაციით დაზუსტდა მიზნის ფორმულირება ისე, რომ იგი ასახავს კურსდამთავრებულის მზაობას — „კურსდამთავრებული იქნება მზად, წვლილი შეიტანოს შემუშავებაში", რაც გულისხმობს შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვას და არა ყველა სტუდენტის მიერ სავალდებულო მონაწილეობას ხელოვნური ინტელექტის პროდუქტების შექმნაში.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნაონბაშვილმა, ექსპერტთა ჯგუფს შემდეგი კითხვით მიმართა. მისი განმარტებით, დაწესებულება 1.2 ქვესტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიციის დოკუმენტში აღნიშნავს, რომ პირველ სწავლის შედეგში გამოყენებული ტერმინი „Android ინტერფეისები" წარმოადგენს თარგმნის პროცესში წარმოქმნილ ტექნიკურ უზუსტობას და არა სწავლის შედეგის შინაარსობრივ ხარვეზს. აღნიშნული საკითხი ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მხრიდანაც იყო დასმული, რაზეც დაწესებულებამ შესაბამისი განმარტება წარმოადგინა, თუმცა იგი მაინც აისახა რეკომენდაციებში. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა რა გახდა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. რაც შეეხება მეხუთე სწავლის შედეგთან დაკავშირებულ რეკომენდაციას: „რეკომენდებულია გადაიხედოს მე-5 სწავლის შედეგი - „აანალიზებს კლიენტის მოთხოვნებს, მოცემულ დავალებას და შეიმუშავებს გადაწყვეტის გზებს" - და ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: „აანალიზებს კლიენტის სიმულირებულ მოთხოვნებს, მოცემულ დავალებას და შეიმუშავებს გადაწყვეტის გზებს", საბჭოს წევრის

აზრით, აღნიშნული ცვლილება წარმოადგენს მხოლოდ ტერმინოლოგიურ კორექტირებას და არა სწავლის შედეგის შინაარსობრივ ცვლილებას.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, სეიფედინ კადრიმ განმარტა, რომ „Android ინტერფეისების" ამოღებასთან დაკავშირებული რეკომენდაციის საფუძველი გახდა სასწავლო გეგმაში სავალდებულო სასწავლო კურსებში შესაბამისი თემატიკის არარსებობა. რაც შეეხება მეხუთე სწავლის შედეგის ფორმულირების კორექტირებას, მისი განმარტებით, აღნიშნულ სწავლის შედეგში მითითებულია, რომ სტუდენტი აანალიზებს კლიენტის მოთხოვნებს. ექსპერტის თქმით, აღნიშნული არ გულისხმობს რეალურ კლიენტთან მუშაობას, ვინაიდან სასწავლო პროცესის ფარგლებში ლექტორი ატარებს სიმულაციებს. შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაციის მიხედვით, სწავლის შედეგში უნდა მიეთითოს, რომ სტუდენტი აანალიზებს სიმულირებული კლიენტის მოთხოვნებს.
ქეთევან ნანობაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს 1.5 ქვესტანდარტში მოცემულ შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით: „სილაბუსებში მითითებული ზოგიერთი თემა არ იძებნება სასწავლო კურსის ლიტერატურაში; მაგალითად, „ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების" კურსის ლიტერატურაში არ არის წარმოდგენილი ბლოკჩეინისა და IOT-ის თემები. რეკომენდებულია, ლიტერატურასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გადამოწმდეს სასწავლო კურსით გათვალისწინებული თემები." საბჭოს წევრის განცხადებით, მის მიერ გადამოწმებული ინფორმაციით, შესაბამისი სახელმძღვანელოს მე-7 და მე-12 თავების სათაურებში პირდაპირ არის მითითებული აღნიშნული თემები. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა, რა გახდა აღნიშნული რეკომენდაციის შემუშავების საფუძველი.
ექსპერტმა, სეიფედინ კადრიმ აღნიშნა, რომ სილაბუსების შემოწმებისას გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც კვირეულ განაწილებაში მითითებული თემები არ იძებნებოდა ყველა დასახელებულ ლიტერატურულ წყაროში. მისი განმარტებით, ზოგ შემთხვევაში თემები შესაძლოა ასახული იყოს მითითებული წყარეობიდან ერთერთში, თუმცა მრავალრიცხოვანი ლიტერატურის მითითებამ კონკრეტიზაციის გარეშე შესაძლოა სტუდენტებში გამოწვიოს გაურკვევლობა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაციად განსაზღვრა, რომ სასწავლო კურსის თემები მკაფიოდ იყოს დაკავშირებული შესაბამის წყაროებთან - კონკრეტულად მიეთითოს, რომელ ლიტერატურაში ან სასწავლო მასალაშია თითოეული თემა წარმოდგენილი. რაც უზრუნველყოფს სილაბუსის გამჭვირვალობას და სტუდენტისთვის მასალის სწორად აღქმას.
ქეთევან ნანობაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს 2.1 ქვესტანდარტში მოცემულ შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით: „რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს აბიტურიენტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნების ჩამონათვალი." საბჭოს წევრი დაინტერესდა, რა გახდა აღნიშნული რეკომენდაციის შემუშავების საფუძველი, ვინაიდან მისი შეფასებით, პროგრამა უცხოენოვანი პროგრამებისთვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ამასთან, მან გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული საკითხი შესაძლოა რჩევის ფორმატში ყოფილიყო წარმოდგენილი, ვიდრე რეკომენდაციის სახით.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნანი არაბულმა, განმარტა, რომ პროგრამის აღწერა აპლიკანტებისთვის, სტუდენტებისა და მათი მშობლებისთვის ერთ-ერთ ძირითად საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს. მისი თქმით, უცხოური უნივერსიტეტების პრაქტიკის შესაბამისად, პროგრამის აღწერაში, როგორც წესი, მითითებულია ის ძირითადი უნარები და მოთხოვნები, რომლებიც აპლიკანტს უნდა გააჩნდეს. ექსპერტის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაოდ ცნობილია ტექნიკური მიმართულების პროგრამებზე მათემატიკის ან ფიზიკის გამოცდის ჩაბარების აუცილებლობა, მნიშვნელოვანია, აპლიკანტმა წინასწარ და მკაფიოდ იცოდეს, კონკრეტულად რა გამოცდების ჩაბარება მოეთხოვება პროგრამაზე მიღებისთვის. ამასთან, მან დააზუსტა, რომ საუბარი არ ეხება საერთაშორისო აპლიკანტებს, ვინაიდან მათთვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები პროგრამის წინაპირობებში უკვე ასახულია. ექსპერტთა ჯგუფს ამ მიმართულებით დაწესებულებისთვის დამატებითი

მოთხოვნა არ წარუდგენია. ასევე, ექსპერტმა დააზუსტა, რომ პროგრამაში ხაზგასმულია ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარების წინაპირობა. ექსპერტის თქმით, რეკომენდაციის მიზანია 2.1 ქვესტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების გამჭვირვალობის, საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დაინტერესებული პირებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ გვიანიშვილმა, 2.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის განხილვისას განმარტა, რომ ყველა დაინტერესებული პირი, მათ შორის აბიტურიენტები და მათი მშობლები, ინფორმირებულნი არიან იმის შესახებ, რომ ანკეტა-კითხვარების შევსების შემდგომ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (NAEC) ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, საგანმანათლებლო პროგრამების, მიღების წინაპირობებისა და სხვა შესაბამისი ინფორმაციის სრული ჩამონათვალი. მისივე თქმით, აბიტურიენტთა უმრავლესობა ჩასაბარებელი საგნების შესახებ ინფორმაციის მისაღებად სწორედ NAEC-ის ცნობარს იყენებს, ხოლო შემდგომ ეცნობა პროგრამის შინაარსს, ვინაიდან კონკრეტულ ეტაპზე პროგრამის შინაარსი შესაძლოა მათთვის სხვა გარემოებებთან შედარებით ნაკლებად პრიორიტეტული იყოს.

თამარ გვიანიშვილის განმარტებით, მოქმედი კანონმდებლობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ ავალდებულებს ჩასაბარებელი საგნების შესახებ ინფორმაციის საგანმანათლებლო პროგრამაში ასახვას იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია. მისი თქმით, პროგრამის წინაპირობებში ინგლისური ენის B1 დონის განსაკუთრებული ხაზგასმა ემსახურება ინგლისური ენის, როგორც სავალდებულო საგნის, მკაფიოდ განსაზღვრას და გამორიცხავს მის სხვა უცხოური ენებით ჩანაცვლების შესაძლებლობას. აღნიშნულთან დაკავშირებით მან დამატებით განმარტა, რომ სხვა დაწესებულებებში შესაძლოა განსხვავებული მიდგომა არსებობდეს, თუმცა მოცემულ შემთხვევაში დაწესებულება საკუთარი აკადემიური პოლიტიკის ფარგლებში მოქმედებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით დაწესებულებამ აღნიშნული მიდგომით გაიარა 7 საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია, მათ შორის 2026 წლის იანვარში, აღნიშნული," კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგ ქართულენოვან პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია და რამდენიმე დღის წინ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას. წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული აკრედიტაციის პროცესების ფარგლებში არც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტთა ჯგუფს და არც აკრედიტაციის საბჭოს არ დაუყენებია პროგრამაში მსგავსი ჩანაწერის არსებობის აუცილებლობა პროგრამის წინაპირობებისა და პროცედურების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით. ქალბატონი თამარის განმარტებით, ექსპერტის მიერ უცხოურ პროგრამებზე აპელირება მისთვის ნაკლებად რელევანტურია, ვინაიდან მისთვის უფრო მნიშვნელოვანია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში არსებული პრაქტიკა, სადაც მსგავსი ჩანაწერი პროგრამებში არ გვხვდება. შესაბამისად, დაწესებულება მიიჩნევს, რომ უნდა იხელმძღვანელოს მოქმედი სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა წარმოადგენს „კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგს, რომელსაც აკრედიტაცია პირველად 2024 წელს მიენიჭა. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფს, რომელსაც ხელმძღვანელობდა სეიფედინ კადრი, პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ განუსაზღვრავს. აღნიშნულ პროგრამას 2026 წელს, კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში, ხელახალი აკრედიტაციაც მიენიჭა რეკომენდაციების გარეშე. წარმომადგენლის განცხადებით, იმ პირობებში, როდესაც აღნიშნულ პერიოდში არ განხორციელებულა ცვლილება არც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებში, არც პროგრამის მიზნებსა და არც სწავლის შედეგებში, გაურკვეველია, რა გარემოებამ განაპირობა იდენტური პროგრამების მიმართ განსხვავებული მიდგომის გამოყენების საჭიროება.

სხვა რეკომენდაციებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციებს შორის იკვეთება შინაარსობრივი შეუსაბამობა. კერძოდ, პროგრამის მეხუთე სწავლის შედეგთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა განმარტა, რომ ჩანაწერი - „აანალიზებს კლიენტის მოთხოვნებს, მოცემულ დავალებას და შეიმუშავებს გადაწყვეტის გზებს" - საჭიროებდა ფორმულირების ცვლილებას, ვინაიდან „კლიენტში" მოიაზრება ლექტორი და არა რეალურ კლიენტთან მუშაობა, რადგან სასწავლო პროცესის ფარგლებში ლექტორი ახორციელებს სიმულაციურ აქტივობებს. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის სწავლის შედეგი ორიენტირებულია კურსდამთავრებულზე, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და იყოს კონკურენტუნარიანი. მისი განცხადებით, დამსაქმებლები უპირატესობას ანიჭებენ პრაქტიკული უნარების მქონე კადრებზე, შესაბამისად, კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს რეალური პროფესიული ამოცანების შესრულება, რაც მისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის არსებით კომპონენტს წარმოადგენს და ასახულია სწორედ პროგრამსი სწავლის შედეგებში.

ქალბატონმა თამარმა, ასევე, ყურადღება გაამახვილა პროგრამის სწავლის შედეგებში გამოყენებული კოგნიტური ზმნების რელევანტურობის საკითხზე და აღნიშნა, რომ ბუნდოვანია, რა გარემოებამ განაპირობა 2024–2026 წლებში რელევანტურად მიჩნეული კოგნიტური ზმნების არარელევანტურად მიჩნევა მიმდინარე შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფის მიერ. მისი განმარტებით, აღნიშნული რეკომენდაცია ეჭვქვეშ აყენებს არა მხოლოდ წარმოდგენილ პროგრამას, არამედ 2026 წელს აკრედიტებულ ანალოგ ქართულენოვან პროგრამასაც, ვინაიდან ერთი და იმავე დასახელების, შინაარსისა და კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამებისთვის განსხვავებული მიზნებისა და სწავლის შედეგების განსაზღვრა შეუსაბამოა.

1.5ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციაზე - „სილაბუსებში მითითებული ზოგიერთი თემა არ იძებნება სასწავლო კურსის ლიტერატურაში; მაგალითად, „ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების" კურსის ლიტერატურაში არ არის წარმოდგენილი ბლოკჩეინისა და IoT-ის თემები. რეკომენდებულია, ლიტერატურასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გადამოწმდეს სასწავლო კურსით გათვალისწინებული თემები" - ქალბატონმა თამარმა განმარტა, რომ აღნიშნული თემები მოცემულია შესაბამის სილაბუსში მითითებული სახელმძღვანელოს მე-7 და მე-12 თავებში. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე, აღნიშნა, რომ ზოგადად მნიშვნელოვანი და ღირებულია პერსონალის აკადემიური თავისუფლება, რომლის საფუძველია სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობა და არა ექსპერტის მოსაზრებასთან. დაწესებულება ხელმძღვანელობს სტანდარტებით და ასრულებს ამ სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რაზეც მეტყველებს არაერთი აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის ანალოგი "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" ქართულენოვანი პროგრამა.

ექსპერტის, ნანი არაბულის განმარტებით, „კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" ქართულენოვანი პროგრამა იდენტური არ არის ინგლისურენოვანი პროგრამისა. კერძოდ, მიუხედავად პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების იდენტურობისა, ინგლისურენოვანი პროგრამა არის 180-კრედიტიანი, ხოლო ქართულენოვანი პროგრამა - 240 კრედიტიანი. ამასთან, მისი განმარტებით, პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილი, მათ შორის ელექტრონიკის სავალდებულო კომპონენტი, გადატანილია არჩევით კურსებში. ასევე, ანდროიდის სისტემების კურსის ამოღება, მისი შეფასებით, გავლენას ახდენს პროგრამის სწავლის შედეგებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ გვიანიშვილმა, ანდროიდის სისტემების კურსთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული წარმოადგენს თარგმანის ტექნიკურ ხარვეზს. მისი თქმით, ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამების დადარებისას ნათლად იკვეთება, რომ მსგავსი სასწავლო კურსი არც ერთ პროგრამაში არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად,

საკითხი უკავშირდება თარგმანის უზუსტობას. ასევე, მისი განმარტებით, აკრედიტაციის დებულების მე-20 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, ქართულ და უცხოენოვან თარგმანებს შორის განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ვერსიას.
დაწესებულების წარმომადგენელმა "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამების განსხვავებულ კრედიტებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქართულენოვანი პროგრამა გადაკეთდა 180-კრედიტიან ფორმატზე, პროგრამაში თავისუფალი კომპონენტის შემცირების ხარჯზე, რამაც არ გამოიწვია პროგრამის სწავლის შედეგების ცვლილება. მისი თქმით, აღნიშნული ცვლილება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ცნობად მიიღო. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენელმა არ გაიზიარა ექსპერტის მიერ გამოთქმული მოსაზრებები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:26
დასრულების დრო: 12:46

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით - 2032 წლის 31 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

1. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა რეკომენდაციები. დაწესებულება უფლებამოსილია, ასევე გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.
2. საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.
3. დაწესებულების მიერ გასათვალისწინებელი იქნება ასევე, საბჭოს მიერ განხორციელებული ცვლილებები აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებში.

4. „სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და განახორციელა შემდეგი ცვლილებები:

ა) ამოღებულ იქნა 1.5 კომპონენტში შემდეგი რეკომენდაცია - „სილაბუსებში მითითებული ზოგიერთი თემა არ იძებნება სასწავლო კურსის ლიტერატურაში; მაგალითად, „ხელოვნური ინტელექტის და მანქანური სწავლების" კურსის ლიტერატურაში არ არის წარმოდგენილი ბლოკჩეინის და IOT - ის თემები". აღნიშნულს არ გამოუწვევია კომპონენტის შეფასების ცვლილება.
ბ) 2.1 კომპონენტის რეკომენდაცია - „რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს აბიტურიენტის მიერ ეროვნულ გამოცდაზე ჩასაბარებელი საგნების ჩამონათვალი“. დაკორექტირდა და ჩამოყალიბდა რჩევად შემდეგი სახით- „სასურველია, პროგრამას დაემატოს აბიტურიენტის მიერ ეროვნულ გამოცდაზე ჩასაბარებელი საგნების ჩამონათვალი“. აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, შეიცვალა 2.1. კომპონენტის შეფასება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან", შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიები
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში
დეტალური სფეროს კოდი: 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა
სწავლების ენა : ქართული
კრედიტი: 180
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა დავით კაპანაძემ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრებმა დავითა კაპანაძემ, თეა მჭედლურმა და ქრისტინე ახალაძემ.
საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ბონდო გასვიანი.

ექსპერტის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა რომ დაწესებულებამ "საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გაცემული ყველა რეკომენდაცია შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებ ები.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული სამუშაოსთვის და დაადასტურა, რომ დაწესებულების მიერ გათვალისწინებული და შესრულებულია ყველა რეკომენდაცია, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პროგრამის შემდგომ განვითარებასა და გაუმჯობესებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ დაუსვამთ

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:54
დასრულების დრო: 12:57

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეექვსე საკითხი: „შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "სამართალმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 27 სექტემბრის N1172271 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს საბჭოსთვის მიეწოდებინა დეტალური ინფორმაცია შუამდგომლობასთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა გვრიტიშვილმა, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში უკვე ხორციელდება შესაბამისი მიმართულების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „სამართლის“ სახელწოდებით. მისი განმარტებით, საბაკალავრო პროგრამის სახელწოდების ცვლილება განპირობებულია შრომის ბაზრის ტენდენციების კვლევისა და განხორციელებული ბენჩმარკინგის შედეგებით, რომლებმაც აჩვენა, რომ საგანმანათლებლო სივრცეში პროგრამები უფრო მეტად პოზიციონირდება „სამართლის“ სახელწოდებით, ვიდრე „სამართალმცოდნეობის“. მისივე განმარტებით, პროგრამის სახელწოდების ცვლილებას არ გამოუწვევია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სტრუქტურის ცვლილება. დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, შესაბამის გადაწყვეტილებასა და სხდომის ოქმში განხორციელდეს ცვლილება და შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:59
დასრულების დრო: 13:01

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "სამართალმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 27 სექტემბრის N1172271 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შეიცვალოს „შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „"სამართალმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის 2022 წლის 27 სექტემბრის N1172271 გადაწყვეტილებაში და დანართი N1-ის პირველ ნაწილში პროგრამის სახელწოდება და ნაცვლად „სამართალმცოდნეობისა“ განისაზღვროს „სამართალი“.

მეშვიდე საკითხი: „შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ"

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 2 აპრილის N318909 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

მერვე საკითხი: „შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 იანვრის N50931 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საკითხის ერთგვაროვნებიდან გამომდინარე, საბჭომ გადაწყვიტა, რომ შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების" ქართულენოვან და ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებზე შუამდგომლობები განეხილა ერთი მოსმენის ფარგლებში.

მეშვიდე და მერვე საკითხების ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს საბჭოსთვის მიეწოდებინა დეტალური ინფორმაცია შუამდგომლობებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა გვრიტიშვილმა, აღნიშნა, რომ ხელოვნური ინტელექტის სფეროს მზარდი აქტუალობიდან და თანამედროვე ტექნოლოგიური გამოწვევებიდან გამომდინარე, კომპიუტერული მეცნიერებების დარგის ხელოვნური ინტელექტისგან განცალკევებით სწავლება აღარ შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო და პროფესიულ მოთხოვნებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება ცვლილება განეხორციელებინა კომპიუტერული მეცნიერებების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდებებში. მისი განმარტებით, ხელოვნური ინტელექტის საკითხები უკვე ასახული იყო საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებში, სწავლის შედეგებსა და პროგრამების სტრუქტურაში. შესაბამისად, პროგრამების სახელწოდებების ცვლილებას არ გამოუწვევია საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგებისა და სტრუქტურის ცვლილება. დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, შესაბამის გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში განხორციელდეს ცვლილება და შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის" კომპიუტერული მეცნიერებების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდებები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- „კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- „კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა აღნიშნა, რომ დეტალურად გაეცნო წარმოდგენილ პროგრამებს და ეთანხმება დაწესებულების პოზიციას პროგრამების სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით, ვინაიდან კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით სწავლება უკვე მოითხოვს ხელოვნური ინტელექტის კომპონენტების ინტეგრირებას. მისი განმარტებით, პროგრამების მიზნებსა და სწავლის შედეგებში ასახულია ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე მოთხოვნადი საკითხები, ხოლო შესაბამისი სასწავლო კურსები პროგრამებში სავალდებულო კომპონენტების სახითაა წარმოდგენილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:03
დასრულების დრო: 13:05

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 2 აპრილის N318909 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ცვლილება შევიდეს „შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 2 აპრილის N318909 გადაწყვეტილებაში და დანართი N1-ის პირველ ნაწილში საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და ნაცვლად „კომპიუტერული მეცნიერებები", განისაზღვროს - „კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი".

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 იანვრის N50931 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ცვლილება შევიდეს „შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო

პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 31 იანვრის N50931 გადაწყვეტილებაში და დანართი N1- ის პირველ ნაწილში საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და ნაცვლად „კომპიუტერული მეცნიერება", განისაზღვროს - „კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი".

მეცხრე საკითხი: „შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 9 დეკემბრის N1755828 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ, განმარტა, რომ შპს „ქართულ-ამერიკულმა უნივერსიტეტმა" მიმდინარე წლის 19 მაისის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა „ინფორმატიკის" საბაკალავრო პროგრამის სახელწოდების ცვლილების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. საბჭოს გადაწყვეტილებით, საკითხის განხილვა გადაიდო მომდევნო სხდომისთვის დაწესებულების მიერ დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით. ლევან შავაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიერ დამატებით წარმოდგენილ მასალებს საბჭოს წევრები დეტალურად გაეცნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს სურვილის შემთხვევაში, დამატებით წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ჯინჭარაძემ, განმარტა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე „ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება შეიცვალა და განისაზღვრა, როგორც „ციფრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი". მისი განმარტებით, აღნიშნული ცვლილება განპირობებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციებითა და შრომის ბაზრის მოთხოვნებით. ამასთან, ახალი სახელწოდება უფრო სრულყოფილად და ადეკვატურად ასახავს პროგრამის შინაარსს, მის ტექნოლოგიურ მიმართულებებსა და პროგრამაში ინტეგრირებულ ციფრული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის კომპონენტებს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამის სახელწოდების ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსზე, სტრუქტურაზე, მიზნებზე, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე.
დაამტებით, პროგრამის ხელმძღვანელმა, მალხაზ ნიკოლაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ მომზადდა შემაჯამებელი დოკუმენტი, რომელიც აკრედიტაციის საბჭოს წარედგინა და რომელშიც დეტალურად არის ასახული ის სასწავლო კურსები, სადაც განხორციელდა ხელოვნური ინტელექტის საკითხებისა და შესაბამისი კომპეტენციების ინტეგრირება.
დაწესებულების წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, შესაბამის გადაწყვეტილებასა და სხდომის ოქმში განხორციელდეს ცვლილება და შპს „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის" „ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო

პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „ციფრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი".

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრის, ქეთევან ნანობაშვილის განმარტებით, ინფორმატიკა და კომპიუტერული მეცნიერება ერთმანეთისგან განსხვავებული დარგებია. შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით, ხელოვნური ინტელექტის კომპონენტის წილი კომპიუტერული მეცნიერებისა და ინფორმატიკის პროგრამებში განსხვავებული მოცულობით არის გათვალისწინებული. თუმცა, ქეთევან ნანობაშვილის აზრით, ის არგუმენტაცია, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა სახელწოდების ცვლილების მიზნობრიობის დასაბუთების მიზნით, უნდა აისახოს როგორც პროგრამის მიზნებში და სწავლის შედეგებში, ისე შესაბამის სასწავლო კურსებში, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:09
დასრულების დრო: 13:13

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 9 დეკემბრის N1755828 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ცვლილება შევიდეს „შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 9 დეკემბრის N1755828 გადაწყვეტილებაში და დანართი N1-ის პირველ ნაწილში საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და ნაცვლად „ინფორმატიკისა", განისაზღვროს - „ციფრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი".

დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია: "რეკომენდებულია, მიზნები და შედეგები დაკორექტირდეს საბაკალავრო პროგრამის სახელწოდების "ციფრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტის" შესაბამისად. ყოველივე ეს კი თავსებადობაში მოვიდეს სასწავლო გეგმასთან დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით".

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის 9 დეკემბრის N1755828 გადაწყვეტილებით 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშში ასახოს მიმდინარე საბჭოს სხდომაზე განსაზღვრული რეკომენდაციის შესრულების შესახებ ინფორმაცია.

მეათე საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 მაისის N604284 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

მეათე საკითხის ზეპირი მოსმენა
უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ 2026 წლის 13 მაისის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით წარმოდგენილი აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე 1 წლიანი ანგარიში, რომელიც საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული. მისი განმარტებით, აღნიშნულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით, საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით, განსაზღვრული იყო არა რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენა და განხილვა, არამედ მონიტორინგის განხორციელება. შესაბამისად, პროგრამა შეცდომით იქნა განხილული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოების ფარგლებში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, ბათილად იქნეს ცნობილი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ცნობად იქნა მიღებული სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით წარმოდგენილი აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე 1 წლიანი ანგარიში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:15
დასრულების დრო: 13:16

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: 2026 წლის 21 მაისის N604284 ოქმის მე-9 (სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით წარმოდგენილი აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე 1 წლიანი ანგარიში)“ დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე –12
წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1 მუხლის 1-ლი, მე-3 და მე-7 ნაწილების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ბათილად იქნეს ცნობილი 2026 წლის 21 მაისის N604284 ოქმის მე-9 ნაწილთან (სსიპ–ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით წარმოდგენილი აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე 1 წლიანი ანგარიში) დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება მისი ძალაში შესვლის დღიდან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 13:18 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე